

დამტკიცებულია :

შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს
2022 წლის 7 ნოემბრის № 82 დადგენილებით

სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელებული

პროფესიული საგანმანათლებლო

პროგრამების პროფესიული სტუდენტის შუალედური შეფასების წესი

მუხლი 1.შესავალი

1. წინამდებარე წესი არეგულირებს სსიპ-შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში (შემდგომში „უნივერსიტეტი“) სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პროფესიული სტუდენტის შუალედური შეფასების წესსა და პირობებს;
2. შუალედური შეფასება წარმოადგენს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (შემდეგში „პროგრამის“) განხორციელების ხარისხის უზრუნველყოფის და პროფესიული სტუდენტებისათვის (შემდეგში „სტუდენტი“) განმავითარებელი უკუკავშირის მიცემის ერთერთ მექანიზმს;
3. დუალური სწავლების შემთხვევაში, აღნიშნული წესი და პირობები განისაზღვრება სასწავლო საწარმოსთან თანამშრომლობით.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

1. ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

- ა) უნივერსიტეტი - სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი;
- ბ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (შემდეგში „პროგრამა“) - სასწავლო მიზნების, სწავლის შედეგების, მოდულის/მოდულების, შესაბამისი კრედიტების, სწავლების მეთოდების, შეფასების ფორმებისა და სასწავლო პროცესის ორგანიზების თავისებურებათა ერთობლიობა;
- გ) სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების ფორმა, რომელიც ითვალისწინებს ამ პროგრამით

გათვალისწინებული ზოგიერთი სწავლის შედეგის იმიტირებულ სამუშაო გარემოში ან/და რეალურ სამუშაო გარემოში მიღწევას (მათ შორის, დუალური სწავლებით);

დ) დუალური სწავლება - დუალური სწავლება გულისხმობს დაწესებულებისა და სუბიექტის (რომელსაც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მოპოვებული აქვს სასწავლო საწარმოს სტატუსი) მიერ პროგრამის ერთობლივად განხორციელებას, როდესაც პროგრამის დარგობრივი მოდულებით გათვალისწინებული კრედიტების 50%-ზე მეტის შესაბამისი სწავლის შედეგები მიიღწევა სასწავლო საწარმოში;

ე) კოოპერაციული სწავლება - კოოპერაციული სწავლება გულისხმობს დაწესებულებისა და სუბიექტის) მიერ პროგრამის ერთობლივად განხორციელებას, როდესაც შესაბამისი პროგრამის დარგობრივი მოდულებით გათვალისწინებული კრედიტების არაუმეტეს 50%-ის შესაბამისი სწავლის შედეგების მიღწევა ხდება რეალურ სამუშაო გარემოში;

ვ) იმიტირებული სამუშაო გარემო - პროგრამით განსაზღვრული ზოგიერთი სწავლის შედეგის იმიტირებულ სამუშაო გარემოში მიღწევა, რომელიც ხორციელდება დაწესებულებაში.

ზ) ჩანაწერების ჟურნალი - უნივერსიტეტის მიერ, დუალური სწავლების ფორმით განხორციელებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების მიზნებიდან გამომდინარე, პროფესიულ სტუდენტთა სარგებლობისათვის შემუშავებული ჩანაწერების ერთობლიობა, რომელსაც აწარმოებს პროფესიული სტუდენტი ყოველკვირეული კალენდარული გეგმის შესაბამისად. პროფესიული სტუდენტის მიერ წარმოებული ჟურნალის ჩანაწერებს ხელმოწერით ადასტურებს ინსტრუქტორი, რომელიც ზედამხედველობას უწევს მუშაობის პროცესში პროფესიულ სტუდენტის მიერ შესრულებულ სამუშაოს.

მუხლი 3. შუალედური შეფასების მიზანი და საგანი

1. სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისათვის სავალდებულოა შუალედური შეფასება;
2. მიზანშეწონილია შუალედური შეფასების ორგანიზება პროგრამის განხორციელების შუა ეტაპზე (პროგრამის მთლიანი ხანგრძლივობის 40%-60% შუალედი) , თუმცა სპეციფიკის გათვალისწინებით შესაძლებელია განვიხილოთ განსხვავებული შემთხვევებიც (სეზონურობა, დარგის პრაქტიკული ხასიათის მქონე გავლილი მოდულების ოდენობა, სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ეტაპების დასრულების ვადები და ა.შ.)
3. შუალედური შეფასებისთვის პერიოდი განისაზღვრება პროგრამის სასწავლო გეგმით გათვალისწინებული შესაბამისი ეტაპის დასრულებიდან 1 თვე.
4. შუალედური შეფასების მიზანია სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შეფასება, სასწავლო პროცესის/სასწავლო გეგმის კორექტირება - გაუმჯობესება, პროფესიული სტუდენტის პროგრესის დადგენა სწავლის შედეგების მიღწევასთან დაკავშირებით და მისთვის აღნიშნულზე განმავითარებელი უკუკავშირის მიცემა.

5. შუალედური შეფასების ფარგლებში გამოიყენება განმავითარებელი/დიფერენცირებული (ქულობრივი) შეფასება. აღნიშნული გულისხმობს კომენტარს/უკუკავშირს პროფესიული სტუდენტის ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენის და სწავლის ხელშეწყობის მიზნით.
6. შუალედური შეფასების შედეგი არ წარმოადგენს პროფესიული სტუდენტისათვის სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის საფუძველს და მოიცავს იმ ცოდნისა და უნარების შეფასებას, რომლებიც მიღწეულია შესაბამისი შეფასების ჩატარებამდე.
7. შუალედური შეფასება სავალდებულოა და წარმოადგენს საკვალიფიკაციო გამოცდაზე დაშვების წინაპირობას.
8. არასაკმატო მიზეზით შუალედურ შეფასებაში მონაწილეობის არმიღება, ან დამატებით შუალედურ შეფასებაში მონაწილეობის არმიღება, შესაძლოა გახდეს სტუდენტისათვის სტატუსის შეწყვეტის საფუძველი;
9. შუალედური შეფასების თემატიკა მოიცავს შეფასების მომენტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი მოდულების დასრულებულ სწავლის შედეგებს.

მუხლი 4. პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების სისტემა

1. შუალედურ შეფასებაში მონაწილეობა პროფესიული სტუდენტისათვის სავალდებულოა;
2. შუალედური შეფასების შედეგები არ შეიძლება გამოყენებულ იქნას სწავლის შედეგების დადასტურებისათვის, კრედიტის მინიჭებისათვის, ან პროფესიული სტუდენტის სტატუსის განსაზღვრისათვის/შეცვლისათვის;
3. შუალედურ შეფასებაში მონაწილეობა წარმოადგენს პროფესიული სტუდენტისათვის საკვალიფიკაციო გამოცდაზე დაშვების წინაპირობას;
4. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ვალიდურ, სანდო, ობიექტურ, სამართლიან და გამჭვირვალე შეფასების სისტემას;
5. პროფესიული სტუდენტის შეფასება მოიცავს შეფასების ინსტრუმენტს, შეფასების პროცესს და შეფასების მტკიცებულებას.

მუხლი 5. შუალედური შეფასების ადმინისტრირება

1. სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში, შუალედური შეფასება შესაძლებელია განხორციელდეს უნივერსიტეტისა და სუბიექტის/პარტნიორის (მეწარმე სუბიექტი/იურიდიულ პირი ან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად მიკრო/მცირე ბიზნესის სტატუსის/ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონე პირი) წარმომადგენლების ჩართულობით, ინტერესთა კონფლიქტის გათვალისწინებით;

2. დუალური მიდგომით განხორციელებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში უნივერსიტეტი ვალდებულია შეფასება განახორციელოს სასწავლო საწარმოსთან ერთად. დარგობრივი უნარების ორგანიზაცია უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს შუალედურ შეფასების დაგეგმვა-ორგანიზებაში.

3. შუალედური შეფასების ორგანიზებასა და ადმინისტრირებას უწევენ ადმინისტრირების ჯგუფი რომლის შემადგენლობაშიც არიან :

ა) პროფესიული განათლების განვითარების სამსახურის უფროსი/პროფესიული პროგრამების განყოფილების უფროსი;

ბ) სასწავლო პროცესისა და საწარმოო პრაქტიკის მართვის განყოფილების უფროსი/სასწავლო პროცესის მართვისა და საწარმოო პრაქტიკის მართვის მთავარი სპეციალისტი.

გ) შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი

4. პროფესიული განათლების განვითარების სამსახურის უფროსი რექტორს წარუდგენს ინფორმაციას პროგრამ(ებ)ზე შუალედური შეფასების ვადის შესახებ;

5. ადმინისტრირების ჯგუფი:

ბ) პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირების (მათ შორის, შუალედური შეფასების ინსტრუმენტის ფორმის, შეფასების მეთოდების შესახებ) მიზნით, ხვდება პროფესიულ სტუდენტებს;

გ) შუალედური შეფასების კომისიის (შემდგომში - „კომისია“) წევრებს აცნობებს შესაბამის პროგრამაზე შეფასების (მათ შორის, განმეორებითი შუალედური შეფასების) თარიღის შესახებ.

დ) შეფასების კომისიას უწევს ტექნიკურ მხარდაჭერას შეფასების პროცესში. ასევე შეფასების კომისიის წევრებს გააცნობს მათ მოვალეობებს, შუალედური შეფასების წესს.

ე) პროფესიული განათლების განვითარების სამსახურის უფროსი უნივერსიტეტის რექტორს მიაწვდის ინფორმაციას შუალედური შეფასების ჩატარების თარიღის, ფორმის, ადგილის და საჭიროების შემთხვევაში შუალედური შეფასებისათვის საჭირო რესურსის შესახებ;

ვ) აგროვებს პროფესიულ სტუდენტთა განცხადებებს განმეორებითი შუალედური შეფასებაზე დაშვების თაობაზე და წარუდგენს რექტორს განსახილველად;

ზ) იღებს შუალედური შეფასების პროცესის ადმინისტრირებისთვის საჭირო სხვა ღონისძიებებს.

მუხლი 6. შუალედური შეფასების კომისია

1. პროფესიული განათლების განვითარების სამსახურის უფროსი უნივერსიტეტის რექტორს წარუდგენს შეფასების კომისიის წევრთა კანდიდატურებს, შუალედური შეფასების თარიღს და ფორმას;
2. შუალედური შეფასების კომისიის შემადგენლობა და კომისიის თავმჯდომარე განისაზღვრება რექტორის ბრძანებით;
3. კომისია გადაწყვეტილებას იღებს დამსწრე წევრთა უმრავლესობით;
4. კომისიის კომპეტენციაა შუალედური შეფასების შედეგებზე დაყრდნობით უნივერსიტეტის რექტორს მისცეს უკუკავშირი პროგრამის განხორციელების პროცესში წარმოჩენილ ძლიერ და სუსტ მხარეებთან დაკავშირებით და საჭიროების შემთხვევაში გასცეს რეკომენდაციები;
5. რეკომენდაციების შემუშავების პროცესში მიზანშეწონილია ჩაერთოს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირ(ებ)ი;
6. კომისიის შეფასება და რეკომენდაციები აისახება შესაბამის ფორმებში (იხილეთ დანართები);
7. შეფასების კომისია შედგება მინიმუმ 3 წევრისაგან. კომისიის წევრთა უმრავლესობას არ უნდა ქმნიდეს პროფესიული სტუდენტის შეფასებაში ადრე ჩართული პირი. ესენი შესაძლოა იყვნენ დარგის მასწავლებლები ზუგდიდის ან სენაკის ბაზიდან ან/და დარგობრივი ასოციაციის წარმომადგენელი ან/და სხვა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელი დარგის სპეციალისტი/განათლების ექსპერტი და სხვა.
8. კომისიის წევრი შესაძლოა იყოს შეფასების ინსტრუმენტის შემუშავებაში ჩართული პირი-პროგრამის ხელმძღვანელი.
9. შუალედური შეფასების კომისია შეფასებისას ეყრდნობა არსებულ შეფასების ინსტრუმენტს და შეფასების კრიტერიუმებს, რომელსაც გავლილი აქვს ვალიდაცია.
10. შუალედური შეფასების ფარგლებში შეიძლება გამოყენებულ იქნეს დიფერენცირებული (ქულობრივი) ან/და არადიფერენცირებული (დადასტურდა/ვერ დადასტურდა) შეფასება. დიფერენცირებული შეფასების (100 ქულიანი) შემთხვევაში ქულები ნაწილდება გამოყენებული მეთოდებისა და ფორმების შესაბამისად. ტესტური დავალების გამოყენების შემთხვევაში მას ენიჭება 40 ქულა, ხოლო დანარჩენი განაწილდება 60 ქულის ფარგლებში.
11. საჭიროების შემთხვევაში შუალედური შეფასება განმავითარებელი უკუკავშირით სრულდება. აღნიშნული გულისხმობს კომენტარს/უკუკავშირს პროფესიული სტუდენტის ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენის და სწავლის ხელშეწყობის მიზნით.
12. პროფესიული სტუდენტის პრაქტიკული უნარების შეფასებისას სავალდებულოა შეფასებას ახორციელებდეს კომისიის წევრთა უმრავლესობა.

მუხლი 7. პროფესიული სტუდენტის შუალედური შეფასების ინსტრუმენტი

1. შუალედური შეფასების თემატიკა უნდა მოიცავდეს შუალედური შეფასების მომენტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი მოდულების დასრულებულ სწავლის შედეგებს, რაც გულისხმობს კომპლექსურად, განვლილი თემატიკის შემაჯამებელ დავალებას/დავალებებს.
2. შეფასების ინსტრუმენტის შემუშავება ეფუძნება დადასტურებული პროფესიული მოდულების იმ სწავლის შედეგებს, რომლებიც ბმავს პროგრამის ძირითად სწავლის შედეგებთან.
3. განხორციელებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პროფესიული სტუდენტის შუალედური შეფასებისას შეიძლება გამოყენებულ იქნას შემდეგი ფორმები:
 - ✓ კომპლექსური დავალება;
 - ✓ პრაქტიკული დავალება;
 - ✓ პრაქტიკული დავალების დემონსტრირება;
 - ✓ პრეზენტაცია;
 - ✓ დასრულებული ან მიმდინარე პროექტი;
 - ✓ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით სხვა ტიპის დავალება/დავალებები.;
 - ✓ თეორიული საკითხების ფლობის დამადასტურებელი ტესტები პრაქტიკული უნარების დამადასტურებელ ერთ-ერთ ზემოაღნიშნულ ფორმასთან ერთად .
4. შეფასების კრიტერიუმები არის შუალედური დავალების ნაწილი და მიეთითება შუალედურ დავალებაში.

მუხლი 8. შეფასების ინსტრუმენტის შემუშავება და ვალიდურობის შემოწმება

1. შეფასების ინსტრუმენტს შეიმუშავებენ შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი ან/და პროფესიული განათლების მასწავლებლები წინამდებარე წესის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის გათვალისწინებით.
2. შემუშავებული შუალედური შეფასების ინსტრუმენტის განხილვის და ვალიდაციის მიზნით კომისია საჭიროების შემთხვევაში თანამშრომლობს იმ პირებთან, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ინსტრუმენტის შემუშავებაში.
3. კომისიის წევრები/თავმჯდომარე ახდენს საბოლოო შუალედური შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციას და ადასტურებს ხელმოწერით. შემდგომ კი შესათანხმებლად გადასცემს პროფესიული განათლების განვითარების სამსახურს/პროფესიული პროგრამების განყოფილებას;
4. შეფასების ინსტრუმენტის შემუშავებისა და ვალიდაციის პროცესში ჩართული პირები,
 აგრეთვე - ადმინისტრირების ჯგუფის წევრები ვალდებული არიან წინასწარ არ გაამჟღავნონ შუალედური შეფასების ინსტრუმენტების შინაარსი.

მუხლი 9. შუალედური შეფასების შედეგები

1. შუალედური შეფასებაზე მიღებული ქულა გავლენას არ ახდენს პროფესიული სტუდენტის სტატუსზე, ვინაიდან შუალედური შეფასება განმავითარებელია.
2. თითოეული პროფესიული სტუდენტი ინდივიდუალურად ებულობს უკუკავშირს მის მიერ შესრულებულ დავალებასთან დაკავშირებით შეფასების კომისიის წევრების მიერ;
3. პროგრამის ხელმძღვანელი შეფასებიდან/ განმეორებითი შუალედური შეფასებიდან ორი კვირის განმავლობაში პროფესიულ სტუდენტებს აძლევს ინდივიდუალურ უკუკავშირს თითოეულ შეფასების კრიტერიუმთან მიმართებაში;
4. პროფესიული სტუდენტის მიერ შუალედური შეფასების დროს შექმნილი მტკიცებულება ინახება უნივერსიტეტში პროფესიული სტუდენტისათვის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარებამდე;

მუხლი 10. შუალედურ შეფასებაზე დაშვების წინაპირობები

სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შუალედურ შეფასებაზე დაშვების წინაპირობა განსაზღვრულია მხოლოდ დუალური სწავლების ფორმით განხორციელებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში. დუალური სწავლების ფორმით პროგრამის განხორციელების შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტის დაშვების დამატებით წინაპირობას წარმოადგენს სრულფასოვნად შევსებული ჩანაწერების ჟურნალი.

მუხლი 11. პროფესიული სტუდენტის ინფორმირება

1. შუალედური შეფასების ადმინისტრირების ჯგუფი შეფასებამდე 10 დღით ადრე უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის ინფორმირებას შუალედური შეფასების თარიღის და მეთოდის შესახებ.
2. კომისია შუალედური შეფასების შედეგების შესახებ პროფესიული განათლების განვითარების სამსახურის/პროფესიული პროგრამების განყოფილების ინფორმირებას ახორციელებს შეფასებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.

მუხლი 12. შუალედური შეფასების პროცესი

1. პროფესიული სტუდენტი ვალდებულია, დროულად გამოცხადდეს შეფასების ადგილზე და მონაწილეობა მიიღოს შეფასების პროცესში.
2. შუალედური შეფასების პროცესზე, პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია, თან იქონიოს წყალი, პირადი ჰიგიენის ნივთები. შეფასების კომისია პროფესიული სტუდენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით, ნებას დართავს მას, გამოიყენოს სხვა ნივთები, რომელიც აუცილებელია პროფესიული სტუდენტისთვის.
3. შეფასების პროცედურაზე, პროფესიულ სტუდენტს ეკრძალება ნებადართული ნივთების გარდა სხვა საგნების გამოყენება.
5. პროფესიული სტუდენტი ვალდებულია დაიცვას წესრიგი, შეფასების პროცედურაზე.
4. აკრძალულია პროფესიული სტუდენტისთვის გამოყოფილი ადგილის უნებართვოდ დატოვება, გადალაპარაკება, ხმაური, ან შეფასების პროცესისთვის სხვაგვარად ხელის შეშლა.
6. ამ მუხლით გათვალისწინებული პირობების უხეშად დარღვევის შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტი დატოვებს შეფასების პროცესს.
7. შესაძლებელია „პრაქტიკული დავალება დაკვირვებით“ განხორციელდეს შიდა ან/და გარე დამკვირვებლების უშუალო ჩართულობით.
8. შუალედური შეფასების დროს გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტის/უწყის(ებ)ის ფორმები განისაზღვროს წარმოდგენილი სახით (იხილეთ დანართები).

მუხლი 13. განმეორებითი შუალედური შეფასება.

1. პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია მოითხოვოს განმეორებითი შუალედური შეფასება, რომელზეც ვერ გამოცხადდა. ამისთვის ის დასაბუთებული განცხადებით მიმართავს უნივერსიტეტის რექტორს , არაუგვიანეს შუალედური შეფასების თარიღიდან 5 სამუშაო დღისა.
2. პროფესიული განათლების განვითარების სამსახურის უფროსი მიმართავს რექტორს განმეორებითი შეფასების ჩატარების შესახებ.
3. განმეორებითი შუალედური შეფასება უნდა ჩატარდეს შუალედური შეფასების დასრულებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 15. გარდამავალი დებულება

1. შუალედური შეფასების წესი ვრცელდება 2022 წლის 9 აგვისტოს შემდგომ ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტებზე.
2. შუალედური შეფასების პერიოდი განისაზღვრება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო გეგმებით, ხოლო შუალედური შეფასების თარიღი - უნივერსიტეტის რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
3. შუალედური შეფასების შედეგები შესაძლოა საფუძვლად დაედოს პროგრამაში ცვლილებების ინიცირებას, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შეფასებას, მატერიალური რესურსების შეფასებას, მარეგულირებელ აქტებში ცვლილებას ან საგანმანათლებლო სტანდარტებში ცვლილებების ინიცირებას, უნივერსიტეტის კომპეტენციის ფარგლებში.
4. წინამდებარე წესში შესაძლოა ცვლილებები შევიდეს სასწავლო უნივერსიტეტის უფლებამოსილი ორგანოს მიერ.